



საქართველოს მოსახლეობის აღწერის საკოორდნაციო
სამთავრობო კომისიის სხდომა

N 2

2013 წლის 8 მაისი

თავმჯდომარეობდა
კომისიის თავმჯდომარე

დ.ნარმანია

ესწრებოდნენ:

კომისიის წევრები:

ზ.ჭელიძე, გ.ხელაია, ლ.ყიფიანი, ს.სუბარი,
გ.კვიციანიშვილი, კ.სურგულაძე,
ლ.სამადაშვილი, თ.ცეკვავა, ე.კერესელიძე,
პ.შავიშვილი

სხდომაზე მოწვეული იყო:

დ.ზურაბიშვილი, მ.ჯანელიძე, ი.გეგჭკორი,
დ.ჯანდიერი, ი.კვიციანიშვილი, გ.თაბუაშვილი,
ს.უგრეხელიძე, ლ.დოლიძე, ვ.ყოლბაია,
რ.ბრეგაძე

სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი
დირექტორის ზ.ჭელიძის ინფორმაცია საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის
საყოველთაო აღწერის მოსამზადებელი სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ

(ი.კვიციანიშვილი, მ.ჯანელიძე, გ.თაბუაშვილი, გ.ხელაია, რ.ბრეგაძე,
ს.უგრეხელიძე, თ.ცეკვავა, თ.შავიშვილი, დ.ნარმანია)

1. მოწონებულ იქნეს წარმოდგენილი ინფორმაცია.

2. სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (ზ.ჭელიძე) საგარეო საქმეთა, ფინანსთა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებთან ერთად გააქტიუროს მუშაობა დონორ ორგანიზაციებთან შესაბამისი ფინანსური სახსრების მოძიების მიზნით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიზანშეწონილად ჩაითვალოს კონფერენციის ჩატარება.

სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორის ზ.ჭელიძის ინფორმაცია სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისათვის თანხის გამოყოფის შესახებ

(გ.თაბუაშვილი, დ.ნარმანია)

1. მოწონებულ იქნეს წარმოდგენილი ინფორმაცია.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (ნ.ხადური) მთავრობის უახლოეს სხდომაზე განსახილველად წარმოადგინოს საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი „სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“.

სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორის ზ.ჭელიძის ინფორმაცია „სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისათვის „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლით გათვალისწინებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 15 იანვრის N48 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

(გ.თაბუაშვილი, დ.ნარმანია)

1. მოწონებულ იქნეს წარმოდგენილი ინფორმაცია

2. სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურმა (ზ.ჭელიძე) მთავრობის უახლოეს სხდომაზე განსახილველად წარმოადგინოს აღნიშნული განკარგულების პროექტი.

სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორის ზ.ჭელიძის ინფორმაცია საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის წლის საყოველთაო აღწერის ლოგოსა და დევიზის შესახებ

(გ.თაბუაშვილი, დ.ნარმანია)

დამტკიცდეს საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის წლის საყოველთაო
აღწერისათვის წარმოდგენილი ლოგო და დევიზი

კომისიის თავმჯდომარე



დ.ნარმანია

კომისიის მდივანი



პ. შავიშვილი